საქართველოს საელჩო
ქ. ლონდონი
EMBASSY OF GEORGIA
LONDON

42153-22-3-202012031857

№ 42153-22
03/12/2020

საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ **დავით ზალკალიანს**

ბატონო დავით,

მსურს გაგიზიაროთ ის პრობლემატური ვითარება, რომელიც შექმნილია საელჩოს უფროსი მრჩევლის, გიორგი ფანიაშვილის ირგვლივ.

როგორც მოგეხსენებათ, გიორგი ფანიაშვილის ირგვლივ, ლონდონში როტაციის დაწყებისთანავე, რიგი პრობლემები არსებობდა. თქვენთვის ეს პრობლემები ცნობილია. მას შემდეგ, რაც მე ლონდონში 4 აპრილს ჩამოვედი, გიორგი ფანიაშვილთან კავშირი არ მქონია (გარდა მისი ჯენმრთელობის მოკითხვისა), რადგან იგი ფიზიკურად არ იმყოფებოდა ქვეყანაში (მისი თბილისში 4 აპრილს დაბრუნების მიზეზებიც თქვენთვის ცნობილია).

გიორგი ლონდონში ივლისის შუა რიცხვებში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე მე მასთან არაერთხელ მქონდა კომუნკაცია, სადაც განვიხილეთ მისი ფუნქცია-მოვალეობები (რაც მოიცავს სტრატეგიულ კომუნიკაციებს და უსაფრთხოების თემებს). მან თავიდანვე უარი განაცხადა სტრატეგიული კომუნიკაციების თემატიკაზე მუშაობის თაობაზე. მისი არგუმენტი იყო, რომ ის არასდროს ეთანხმებოდა მის ამ ფუნქცია-მოვალეობებს, მიუხედავად იმისა, რომ როტაციაში ჩამოსვლამდე ნათლად იყო გაწერილი ამ კონკრეტული თანამდებობის ფუნქციები.

ასევე, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მან სრულიად უგულებელყო ჩემს მიერ მიცემული დავალება, რაზეც მან განაცხადა, რომ „ასეთი ტექნიკური სახის დავალებებს, იგი არ შეასრულებდა“ (მაგალითად, როდესაც დავავალე მოეძიებინა ინფორმაცია ბრიტანეთის მთავრობის „უსაფრთხო კორიდორებთან“ მიდგომის შესახებ).

ამასთან, სისტემატიურად მიხდებოდა მასთან პოლემიკა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა შეესრულებინა ჩემი დავალებები, რაც იმ კონკრეტულ შემთხვევებში ყველაზე აქტიუალური და საჭირო იყო საელჩოს საქმიანობისთვის. ფანიაშვილი მხდოლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეორებში ითხოვდა დავალების მიცემას.

გამომდინარე იქიდან, რომ ფანიაშვილი არასათანადოდ ასრულებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობებს, იგი პრაქტიკულად საელჩოში არ დადის უკვე რამდენიმე კვირაა (აქვე აღვნიშნავ, რომ ლონდონში ხელმეორე ლოკდაუნის გამოცხადების შემდეგ, ჩემი რეკომენდაცია იყო საელჩოს თანამშრომლებს, სურვილისამებრ, ემუშავათ სახლიდან. ამ რეკომენდაციით მხოლოდ ფანიაშვილი სარგებლობს) და შესაბამისად ბოლო ერთი თვის

20 St. George's Square, London SW1V 2HP.
ტელ./Tel: +44 (207) 348 19 41; ფაქსი/Fax: +44 (207) 603 66 82; ელ–ფოსტა/E-mail:london.emb@mfa.gov.ge

განმავლობაში, პრაქტიკულად მე მისთვის არანაირი დავალება აღარ მიმიცია. იგი სრულიად გამოეთიშა საელჩოს საქმიანობას, მას ჩემთან არანაირი კომუნიკაცია აღარ აქვს, რის გამოც, შესაბამისად, მოკლებული ვარ საშუელაბას, მას მივცე რაიმე სამსახურებრივი დავალება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

პატივისცემით,
სოფიო ქაცარავა

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩო